გინდათ, რომ გაგაგებინოთ თქვენი საქმეებიდან საუკეთესო, ყველაზე წმინდა, რაც ყველაზე მეტად ზრდის თქვენს ჯილდოს თქვენი მბრძანებლის წინაშე და ყველაზე მეტად აამაღლებს თქვენს ხარისხს?

აბი ად-დარდააისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «გინდათ, რომ გაგაგებინოთ თქვენი საქმეებიდან საუკეთესო, ყველაზე წმინდა, რაც ყველაზე მეტად ზრდის თქვენს ჯილდოს თქვენი მბრძანებლის წინაშე და ყველაზე მეტად აამაღლებს თქვენს ხარისხს? ეს საქმე სჯობს ოქროსა და ვერცხლის დახარჯვას და უკეთესია, ვიდრე მტრის წინაშე გამოსვლა, სადაც თქვენ მათ თავს მოჰკვეთთ და ისინი თქვენსას მოჰკვეთენ». ხალხმა თქვა: «რა თქმა უნდა». მან თქვა: «ეს არის ყოვლისშემძლე ალლაჰის მოხსენიება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა თავის საჰაბებს: გსურთ, რომ შეგატყობინოთ საქმეებზე, რომლებიც საუკეთესოა, ყველაზე ღირსეული, ყველაზე დიდი ჯილდოს მომტანი და ყველაზე სუფთა ალლაჰის, ყოვლისშემძლე და დიადი მბრძანებლის წინაშე? და რომლებიც საუკეთესოდ უწყობენ ხელს თქვენი ხარისხების ამაღლებას სამოთხეში? და უკეთესია თქვენთვის, ვიდრე ოქროსა და ვერცხლის ქველმოქმედებაში დახარჯვა? და უკეთესია თქვენთვის, ვიდრე ურწმუნოებთან ბრძოლაში შეხვედრა, სადაც თქვენ მოჰკვეთთ მათ თავებს და ისინი მოჰკვეთენ თქვენსას? საჰაბებმა თქვეს: დიახ, გვინდა ეს. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიოდბა მას) თქვა: "ეს არის ალლაჰის ხსენება ყველა დროს, ყველა მდგომარეობასა და ყველა სიტუაციაში".

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3575